თანამშრომლობის დოკუმენტი

კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით კოორდინაციის გაძლიერების შესახებ

2021 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკი, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის - კობა გვენეტაძის სახით,

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - დავით ნარმანიას სახით,

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, წარმოდგენილი მისი უფროსის - დავით ონოფრიშვილის სახით,

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ირაკლი ლექვინაძის სახით,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წარმოდგენილი მისი საბჭოს წევრის - ვახტანგ აბაშიძის სახით,

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად,

მოქმედებენ რა, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად,

აღიარებენ რა, კონკურენციის მნიშვნელობას, რომელიც არსებითია ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის,

ითვალისწინებენ რა, კონკურენციის აღსრულების პროცესში კოორდინაციის, თანამშრომლობის გაძლიერებისა და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას,

იზიარებენ რა, კონკურენციის პოლიტიკის პოპულარიზაციისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის აუცილებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეთა ერთობლივი ორგანიზებითა და მონაწილეობით, ჩატარდეს კონკურენციის პოლიტიკის ყოველწლიური კონფერენცია, რომელზეც განხილული იქნება უწყებების მხრიდან წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობები, გეგმები და გამოწვევები; ასევე, ზოგადი კონკურენტული გარემოს ანალიზი თითოეულ უწყებას დაქვემდებარებულ სფეროსთან მიმართებაში.
2. ღონისძიება ჩატარდეს ყოველი წლის დეკემბრის თვეში, კონკურენციის მსოფლიო დღის პარალელურად, რომელიც აღინიშნება 5 დეკემბერს.
3. ღონისძიების ორგანიზების დეტალები, შინაარსობრივი და ტექნიკური მხარე გადაწყდეს მხარეთა შორის დამატებითი კონსულტაციების შედეგად.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კობა გვენეტაძე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დავით ნარმანია

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დავით ონოფრიშვილი

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

ირაკლი ლექვინაძე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე